საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№110/11

2021 წელი, 27 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრების: კახაბერ კუჭავას, ალექსანდრე ელისაშვილის, ფრიდონ ინჯიას, ხათუნა სამნიძის, ნიკოლოზ სამხარაძის და ბადრი ჯაფარიძის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: კახაბერ კუჭავას, ალექსანდრე ელისაშვილის, ფრიდონ ინჯიას, ხათუნა სამნიძის, ნიკოლოზ სამხარაძის და ბადრი ჯაფარიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/98; 21.07.2021) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ვოლსკი